



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



# ბენეფიციარი ნიშნით სქესის შარჩევის პრევენცია

საკომუნიკაციო სახადმძვანალო  
სერვისის მიმწოდებლისა  
და ექიმებისათვის



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მიერ, ევროკავშირის დაფინანსებული გლობალური პროგრამის ფარგლებში - გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისთვის - “Global Program to Prevent Son Preference and the Undervaluing of Girls” (2017-2019). ეს პროგრამა საქართველოში და 5 სხვა ქვეყანაში: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბანგლადეშში, ნეპალში და ვიეტნამში მიმდინარეობს. რადგან გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა გენდერული უთანასწორობის და საზოგადოებაში გავრცელებული ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭების განწყობის შედეგია, პროგრამა მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და პროგრამების განვითარებაში, რომლებიც მიმართულია ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ და, ამრიგად, შეუწყოს ხელი ამ საზიანო პრაქტიკის პრევენციას.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და ევროკავშირის შეხედულებებს.

## ჩა აჩის გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა?

ბიოლოგიური ფაქტორებით განპირობებული სქესთა ბუნებრივი რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას 100 დაბადებულ გოგონაზე 102-106 დაბადებულ ვაჟს უახლოვდება. თუმცა, ნორმალურ თანაფარდობაზე მაღალი მაჩვენებელი ხშირად დაფიქსირებულა და ზოგიერთ შემთხვევებში ის 130-საც კი აღწევს. აღნიშნული მოვლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მზარდ შემფოთებას იწვევს.

საქართველოში ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე საშუალოდ 109 ბიჭი იბადება. როგორც მონაცემები აჩვენებს, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევის შედეგად, 1990 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში 25,000 გოგონაა გაუჩინარებული. სქესთა თანაფარდობის დარღვევის მიზეზს ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭება და შედეგად, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა წარმოადგენს. გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა გულისხმობს შვილის გაჩენის შესახებ გადანყვეტილების მიღებას ნაყოფის სქესიდან გამომდინარე. სქესის შერჩევა შეიძლება განხორციელდეს როგორც ჩასახვამდე, ასევე პრენატალურ პერიოდში ნაყოფის სქესის დადგენით და სელექციური აბორტით, ან ორსულობის შემდეგ ახალშობილის ზრუნვაზე უარის თქმით/მიტოვებით.

მიუხედავად იმისა, რომ ულტრაბგერით ტექნოლოგიასა და აბორტზე ხელმისაწვდომობამ წყვილებს საშუალება მისცა ვაჟიშვილი ყოლის სურვილი დაეკმაყოფილებინათ, საზოგადოდ გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, თავად აბორტი არ წარმოადგენს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მიზეზს. ის არის მხოლოდ საშუალება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მისაღწევად. მსგავსად სხვა ქვეყნებისა, სადაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა გავრცელებულ პრაქტიკას

აბორტი არ წარმოადგენს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მიზეზს, არამედ, ის არის საშუალება ამ პრაქტიკის განსახორციელებლად.

წარმოადგენს, **პრობლემის ძირითად მიზეზად გენდერული უთანასწორობა და საზოგადოებრივი სტრუქტურები გვევლინება**, სადაც მამაკაცებს და ბიჭებს, გოგონებთან და ქალებთან შედარებით, უფრო მაღალი საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნიათ, რაც, თავის მხრივ, ვაჟიშვილის ყოლის უპირატესობით გამოიხატება, ქალიშვილთან შედარებით.

საქართველოში აბორტის რეგულირება ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წ. 7 ოქტომბრის N01-74/ნ ბრძანების მიხედვით. **ორსულობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს როგორც მდებარეობით, ისე მამრობითი სქესის ნაყოფის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით.**

დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება.

ამ ბრძანების თანახმად:

- ქალს უფლება აქვს მოითხოვოს ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა 12 კვირის ვადამდე 5-დღიანი მოსაფიქრებელი ვადის გათვალისწინებით;
- 12 კვირის ვადის გასვლის შემდეგ აბორტი შეიძლება განხორციელდეს ორსულობის 22 კვირამდე, ამავე ბრძანებით განსაზღვრული სამედიცინო და არასამედიცინო ჩვენებების არსებობის შემთხვევაში;
- 22 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტის საკითხი იხილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილი დედათა და ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის საკოორდინაციო საბჭოს მიერ, პაციენტისადმი ინდივიდუალური მიდგომით;
- დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება.

## როგორც სერვისის მიწოდება და ექიმმა, როგორ შეიძლება

### გავუწიო კონსულტანტს ამ საკითხებზე?

პაციენტთან კონსულტაციის დროს მიზანშეწონილია:

- **აქცენტი პოზიტიურ გზავნილებზე:** ქალიშვილის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოზიტიური გზავნილები ქალიშვილის შესახებ. მიზანშეწონილია ისეთ საკითხებზე აქცენტი, როგორც არის: **„ნაყოფის ჯანმრთელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი სქესი; ზოგჯერ გოგონა ჩნდება, ზოგჯერ კი ვაჟი, ეს ბუნებრივია“**. საკომუნიკაციო გზავნილები უნდა გამოხატავდეს სიხარულს, ბედნიერებას და სითბოს გოგონას დაბადებასა და აღზრდასთან დაკავშირებით.

გზავნილები უნდა გამოხატავდეს სიხარულს, ბედნიერებას და სითბოს გოგონას დაბადებასთან და აღზრდასთან დაკავშირებით.

\*\*\* პოზიტიური კომუნიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორშვილიან მშობლებთან. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საკმაოდ ხშირია რიგით მესამე ფეხმძიმობაზე - როცა ოჯახს უკვე ჰყავს ორი შვილი, განსაკუთრებით კი - ორი გოგონა. პაციენტთან კომუნიკაციაში ასევე ხაზგასასმელია, რომ ნაყოფის სქესი შემთხვევით ფაქტორებზეა დამოკიდებული და ყოველ შობადობაზე ნაყოფის სქესის ალბათობა თანაბარია. აუხსენით, რომ ქართული საზოგადოების ტრადიციული შეხედულებები ნელნელა იცვლება, და რომ ოჯახში 3 გოგონა სავსებით ნორმალურია.

- უსაფრთხო აბორტზე და სხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა:** ხშირად გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საწინააღმდეგო კომუნიკაცია შეიძლება აღქმული იყოს, როგორც კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხო აბორტის მიმართ საწინააღმდეგო მიდგომა. აღნიშნული მისკომუნიკაციის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ აბორტი საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია და რომ ის ქალის რეპროდუქციულ უფლებას წარმოადგენს, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის სრული დაცვით უნდა იყოს მიწოდებული. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ამავდროულად კანონმდებლობის ფარგლებში აკრძალულია ორსულობის შეწყვეტა ნაყოფის სქესის საფუძველზე, რადგან ეს გენდერული დისკრიმინაციის ერთერთ უკიდურეს ფორმას წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია იმის კომუნიკაცია, რომ აბორტის აკრძალვა არ წარმოადგენს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრობლემის გადაჭრის გზას, ვინაიდან ეს მკვეთრად გაზრდის არალეგალური აბორტების რიცხვს და მასთან დაკავშირებულ სიკვდილიანობასა და ავადობას.
- პრობლემის გადმოცემა:** გამოიყენეთ ისეთი ტერმინები, როგორცაა სქესის განსაზღვრა და სქესის სელექცია. მოერიდეთ ისეთ ნეგატიურ სიტყვებს, როგორცაა მღვდრობითი სქესის ფეტიციდი, ცოდვა, მოკვლა ან მკვლელობა.
- ხაზგასმა ქალის როლზე:** მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის ქალის როლის მნიშვნელობის ხაზგასმა, მაგრამ, არა სტერეოტიპულ როლებზე დაყრდნობით (მაგ. ქალის, როგორც მხოლოდ დედის როლი). გამოიყენეთ ქალების მაგალითები, რომლებიც იღებენ განათლებას, მონაწილეობენ შრომით ბაზარზე და აქვთ კარიერა.



- **სხეულის ენა და ხმის ტემბრი:** იყავით ნეიტრალურები სხეულის ენის თვალსაზრისით და ნუ იქნებით კრიტიკულები საუბრისას. კომუნიკაციას არ უნდა ჰქონდეს აბორტის სანინააღმდეგო მიდგომა ან ეფუძნებოდეს სტერეოტიპულ შეხედულებებს ქალების მიმართ. ექიმის ვალდებულებაა პაციენტი საკუთარ მოტივებსა და გადაწყვეტილებებზე დააფიქროს. მოერიდეთ გენდერული სტერეოტიპების გამყარებას.
- **ინფორმაციის მინოდება:** მიაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაყოფის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაყოფის სქესის დადგენა 12 კვირამდე, დიდი ალბათობით, შეიძლება ზუსტი არ იყოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ორსულობის 16 კვირის ვადამდე ორსულს ნაყოფის სქესი არ გავეუხილოთ, რათა მშობლები შეცდომაში არ შევიყვანოთ და თავიდან ავიცილოთ გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა.

**ნუ გაამხეჯ ნაყოფის სქესს ორსულობის 16 კვირამდე!**

## რატომ უჩივნიანთ ვაჟიშვილის ყოფა საქართველოში?

საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის მიზეზად საზოგადოდ დამკვიდრებული **სოციალური ნორმები** და **სტერეოტიპები** გვევლინება; მათგან რამდენიმე ქვემოთაა მოყვანილი:

- *ვაჟიშვილი ოჯახის შექმნის შემდეგ რჩება ოჯახში, ხოლო ქალიშვილი ქმრის ოჯახს უერთდება.* ამგვარად, ვაჟი ფინანსურად მხარს უჭერს მოხუც მშობლებს და ზრუნავს მათზე. თუმცა, დღესდღეობით ეს ყოველთვის ასე არ არის. საქართველოში მოხუცებზე უმეტესად ქალები ზრუნავენ. ამასთან ქალიშვილები, ისევე როგორც ვაჟები, ფინანსურად მხარში უდგანან მოხუც მშობლებს. როგორც აღმოჩნდა, სხვა ფაქტორებთან შედარებით, მეტი მნიშვნელობისაა ტერიტორიული ფაქტორი - ანუ, რომელი შვილი ცხოვრობს მშობლებთან უფრო ახლოს.
- *ვაჟი ოჯახის გვარის მატარებელი და გამგრძელებელია, ხოლო ქალიშვილი ქმრის ოჯახის გვარზე გადადის.* ამგვარად, ვაჟებს მნიშვნელობა ენიჭებათ გვარის გაგრძელების თვალსაზრით. ამ ფაქტორს შეიძლება წარსულში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დღესდღეობით კი, როდესაც ქალების უმეტესობა იღებს განათლებას, ჩართულნი არიან შრომით ბაზარზე და აქვთ კარიერა, ისინიც აგრძელებენ ოჯახის ტრადიციას, რადგან დღეს, უფრო და უფრო მეტი ქალია დამოუკიდებელი, რაც მშობლებსაც სიამაყით განაწყობს.



- ვაჟი წარმოადგენს ქონების მემკვიდრეს, აგრძელებს მუშაობას ოჯახის საკუთრებაში არსებულ მიწასა და ბიზნესში და ოჯახის ქონებაც მას რჩება. თუმცა, იცოდით თუ არა, რომ კანონის თანახმად, მშობლის ქონებაზე ვაჟიშვილსაც და ქალიშვილსაც თანაბარი უფლება გააჩნიათ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 11); რომ ქალიშვილსა და ვაჟიშვილს თანასწორი უფლება აქვთ მემკვიდრეობის თანაბარ წილზე, მიუხედავად იმისა, თუ რას მიუთითებენ მშობლები ანდერძში ან რა ცალმხრივ გადაწყვეტილებას მიიღებენ. რა თქმა უნდა, შეიძლება ტრადიცია არსებობდეს, მაგრამ კანონი განსხვავებულად აღწერს მემკვიდრეობის უფლებას.
- ოჯახი ბიჭის მოლოდინშია! ბებიებსა და ბაბუებს, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრებსაც - ბიჭი ურჩევნიათ. მშობლები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ საზოგადოდ მიღებულ ნორმებს დაექვემდებარონ. თუმცა, ყველა ადამიანს და ოჯახს აქვს უფლება მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება.



## რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოში მსოფლიო ოჯახებში

### ვაუჩვილისთვის უპირატესობის მინიჭების საკითხი?

ვაუჩისათვის უპირატესობის მინიჭება და გენდერული ნიშნით სქესის სელექციის პრაქტიკა მიუთითებს, რომ საზოგადოება გოგონებსა და ქალებს ნაკლებად ღირებულად მიიჩნევს და მათ წვლილსაც სათანადოდ არ აფასებს. გრძელვადიან პერსპექტივაში ამას ორი მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს:

- **გავლენა დემოგრაფიაზე:** დღესდღეისობით უფრო მეტი ბიჭის დაბადება გულისხმობს, რომ მომავალში მამაკაცების რაოდენობა გადააჭარბებს ქალების რაოდენობას, რაც გავლენას იქონიებს ქორწინებაზე (პატარძლების სიმცირის გამო), დაბადებათა რაოდენობაზე, მოსახლეობის გამრავლების პოტენციალზე და ზოგადად, მოსახლეობის ბალანსზე.
- **გავლენა ქალებისა და გოგონების ცხოვრებაზე:** გოგონების დაბალი საზოგადოებრივი ღირებულება არა მხოლოდ შვილის გაჩენის გადანყვეტილებებზე აისახება, არამედ ის გავლენას იქონიებს ქალებისა და გოგონების ცხოვრების ხარისხზე, მათ შორის მშობლების ინვესტიციებზე ქალიშვილების განათლებასა და ჯანმრთელობაზე, თვითშეფასებასა და საზოგადოებისთვის განუვლ წვლილზე.

**გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკა ეწინააღმდეგება ქართული საზოგადოების ამჟამინდელ ყოფას:** ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა საზოგადოებამ მნიშვნელოვანი წინსვლა და ცვლილებები განიცადა. სოციალურად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად აქტიურმა, ფინანსურად დამოუკიდებელმა და წარმატებულმა ქალებმა უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს პროგრესსა და განვითარებაში; ქალებს ყველა შესაძლებლობა აქვთ, რომ თავიანთი ოჯახების კეთილდღეობაში მაქსიმალური წვლილი შეიტანონ.

## გამოყენებული წყაროები:

Guilmoto, C.Z., (2015). Gender-biased Sex Selection in Georgia: Context, Evidence and Implications. UNFPA, Tbilisi

Guilmoto, C.Z. and Tafuro, S. (2017). Trends in the Sex Ratio at Birth in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data. Tbilisi, Georgia: Geostat; UNFPA

Preventing gender-biased sex selection (2011). An interagency statement OHCHR, UNFPA, UNICEF, UN Women and WHO

საქართველოს შრომის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014წ, 7 ოქტომბრის N01-74/ნ ბრძანება. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე.



თბილისი  
2017